



გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

დამტკიცებულია:
სსიპ ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის
სამუსიკო კოლეჯის დირექტორის
ბრძანებით
N 1/57. 23. 07.2020 წ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და დაწესებულების საქმიანობის შეფასების ინსტრუქცია

მუხლი 1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება

1.1 ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში (შემდგომში-„კოლეჯი“) პროფესიული პროგრამები იქმნება შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დარგის განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით, დამსაქმებლებთან და სპეციალისტებთან ერთად.

1.2 კოლეჯი სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს პროფესიული პროგრამებისა და დაწესებულების საქმიანობის შეფასების ზოგად სისტემა- ინსტრუქციას (შემდგომში „შეფასების სისტემა“), რომელიც განისაზღვრება ამ წესის შესაბამისად;

1.3 კოლეჯი შეფასების სისტემის განხორციელებისას ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპით - თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო/საგნობრივი და მოდულური პროგრამა ინდივიდუალურია და განსხვავებული მიდგომები სჭირდება;

1.4 პროფესიული პროგრამებისა და კოლეჯის შეფასება ხდება რეგულარულად, ამ წესით წინასწარ გაწერილი და დაგეგმილი შეფასების ინსტრუქციის მიხედვით;

1.5 დაწესებულებაში მოქმედებს პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

1.6 პროგრამის შეფასება ხორციელდება ორ ეტაპად:

ა) პროგრამის მიმდინარეობისას;

ბ) პროგრამის დასრულების შემდეგ.

მუხლი 2. სწავლების ხარისხის შეფასების ციკლის ეტაპები

2.1..სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

დაგეგმე;

განახოცილე;

შეამოწმე;

განავითარე.

დაგეგმე

1.1. დაწესებულების სამოქმედო გეგმაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით იგეგმება ჩასატარებელი ღონისძიებები, შესრულების შეფასების მტკიცებულებები და განმახორციელებლები;

1.2. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და სწავლების დაგეგმვა ხორციელდება პროგრამების შემუშავების წესის შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები იმგვარადაა შემუშავებული, რომ იძლევა პროგრამის თანმიმდევრულად განხორციელების შესაძლებლობას;

1.3. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხორციელდება პროგრამების სასწავლო გეგმების საფუძველზე შემუშავებული კალენდარული გეგმების შესაბამისად, რომელთაც ითანხმებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;

1.4. პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება (საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, ტრენინგები სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება) ხორციელდება კოლეჯის შიდა რესურსითა და მაკონტროლებელ ორგანოთა მიერ ორგანიზებულში მათი მაქსიმალური ჩართულობით;

1.5. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით, ინერგება ახალი მექანიზმები;

1.6. პარტნიორ დამსაქმებლებთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირია კოლეჯის პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, რომელიც ახორციელებს დამსაქმებლების საჭიროებების კვლევას და კურსდამთავრებულთა გამოკითხვას კარიერული განვითარების კუთხით;

2. **განახორციელე** - სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება სხვადასხვა ტიპის აქტივობებით;

2.1. შიდა მონიტორინგის ჯგუფის გეგმიური დასწრებით საგაკვეთილო პროცესზე, რომელიც ახდენს შედეგის ანალიზს გაკვეთილზე დასწრების კითხვარის გამოყენებით, ასევე სასწავლო პროცესის მენეჯერი სისტემატურად ამოწმებს სტუდენტთა დასწრებას და პედაგოგის აქტივობებს, რაც შემდგომში აისახება შესაბამის ოქმებში;

2.2. პროგრამის განმახორციელებელთა გამოკითხვა სასწავლო მოდულის მიმდინარეობის თაობაზე სპეციალური კითხვარის გამოყენებით სასწავლო მოდულების დასრულების შემდეგ;

2.3. სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და სასწავლო პროცესის ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება;

2.4.სწავლებისა და შეფასების მაღალი სტანდარტებით განხორციელების მიზნით, სწავლის შედეგების შესაბამისი სანდო, ვალიდური, რელევანტური შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება და მისი შეთანხმება ხარისხის მართვის მენეჯერთან;

2.5.პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან და სასწავლო პროცესის მენეჯერთან ერთად მოდულური პროგრამების განხორციელების მონიტორინგის უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება.

2.6.სტუდენტთა მოტივაციის გაზრდა სასწავლო პროცესის მენეჯერთან ერთად სხვადასხვა ტიპის აქტივობებით;

2.7.პრაქტიკული სწავლების მაღალ დონეზე ორგანიზება სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან ერთად დასაქმების პერსპექტივების გათვალისწინებით;

2.8.პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების, განსაკუთრებით წარმატებული სტუდენტების, კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობა სწავლო პრაქტიკის, პროფორიენტაციისა და კარიერის მენეჯერის ჩართულობით.

3. შემოწმე - სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში განხორციელების პროცესი ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებას და ანგარიშგებას. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შემოწმება ხორციელდება:

3.1.სასწავლო მოდულების სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის რელევანტურობის შესწავლის საფუძველზე კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ;

3.2 მეცადინეობებზე დასწრებთ დ აგაკვეთილზე დასწრების კითხვარის ანალიზით სასწავლო პროცესის მენეჯერთან ერთად;

3.3 პროფესიულ სტუდენტთა მიერ პროფესიული მასწავლებლების შეფასებით და ანალიზით (ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი);

3.4 კურსდამთავრებულთა სპეციალური კითხვარების საშუალებით კმაყოფილების კვლევით და ანალიზით;

3.5 სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საშუალებით დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევით და ანალიზით;

3.6 პერიოდულად დასაქმების სტატისტიკის წარმოებით.

4. განავითარე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტებით გამოვლენილი ხარვეზების მიზეზებს და წარმოადგენს რეკომენდაციებს ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

4.1 ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები პედაგოგებთან სწავლებისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით (ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი);

4.2 არსებული საჭიროებების ანალიზის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება დადგენილი პროცედურის შესაბამისად (ხარისხის მართვის მენეჯერი);

4.3 გამოკითხვების/კვლევის ანალიზის შედეგების გამოყენება სასწავლო პროცესის/პროგრამების გასაუმჯობესებლად (ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი); საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მიზნით, ცალკეული აქტივობების განსახორციელებლად გამოყენებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული კითხვარები, მეცადინეობებზე დასწრების ფორმები. საგნობრივი პროგრამების შეფასების მიზნით, დაწესებულება იყენებს როგორც კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტაციას (კითხვარებს), ასევე, ცენტრის მიერ მოდულური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის მიზნით მოწოდებული დოკუმენტაციის მოდიფიცირებულ ვერსიებს და სხვ. მეცადინეობებზე დასწრების, კითხვარების ფორმების დამტკიცება არ არის სავალდებულო. ცალკეული კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე, შესაძლებელია შემუშავდეს ერთჯერადი ტიპის ანკეტა/კითხვარი და სხვა ფორმა. ხარისხის გაუმჯობესების მიზნით კითხვარის, კვლევის დოკუმენტის ფორმის ინიცირება შეუძლია კოლეჯის სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს (თანამშრომელს, პროფესიულ სტუდენტს, პარტნიორს, დამსაქმებელს) და ის შეთანხმებული უნდა იყოს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ მომზადებული სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტები თანხმდება კოლეჯის დირექტორთან. ანგარიშგება განხორციელებული საქმიანობის შესახებ ხორციელდება დირექტორის წინაშე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის წლიური ანგარიშის სახით.

მუხლი 3. ხარისხის შემოწმების ფორმები

3.1. დაწესებულებაში სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით გამოიყენება ხარისხის შემოწმების შემდეგი ფორმები:

3.1.1. პროფესიული მასწავლებლისა და სასწავლო კურსის/მოდულის სწავლების შეფასება (დანართი 1);
3.1.2. პროფესიული სტუდენტის კითხვარი დაწესებულების შესახებ (დანართი 2);
3.1.3. სამოქმედო გეგმის კითხვარი (დანართი 3);

3.1.4. პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი (დანართი 4);

3.1.5. მოდულური პროგრამის განმახორციელებელი პირის და მოდულის შეფასება (დანართი 5);

3.1.6. პროფესიული სტუდენტის თვითშეფასება (დანართი 6);

3.1.7. მოდულური პროგრამის განმახორციელებელი პირის კითხვარი (დანართი 7).

3.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების და შეფასების მიზნით კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე იქმნება შიდა მხარდაჭერის ჯგუფი.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებანი

- 4.1. კოლეჯის პროფესიული პროგრამების შეფასების სისტემის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.
- 4.2. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი პასუხისმგებელია შეფასების სისტემის დოკუმენტაციის შესაბამისი წესით წარმოებაზე.

**სსიპ - გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსკო კოლეჯის პროფესიული განათლების
მასწავლებლისა და სასწავლო კურსის/მოდულის სწავლების შეფასების**

კითხვარი

გამოკითხვის მიზანს წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება. გამოკითხვა ანონიმურია, სტუდენტებს გთხოვთ იყოთ მაქსიმალურად გულწრფელნი და მიუკერძოებელნი. თქვენი პასუხები შემდგომში გათვალისწინებული იქნება სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვასა და გაუმჯობესებაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -----

№	კითხვები	1	2	3	4	5
		მიჭირს პასუხის გაცემა	არასოდეს	იშვიათად	ხშირად	ყოველთვის
1	გაცნობენ თუ არა მასწავლებლები სასწავლო წლის დასაწყისში მოდულის მიზნებს, ამოცანებს და ცოდნის შეფასების სისტემას?					
2	ხსნიან თუ არა გასაგებად მასწავლებლები თეორიულ მასალას?					
3	მოჰყავთ თუ არა მასწავლებლებს ლექციის პრაქტიკულ ნაწილში მაგალითები?					
4	ეხმარება თუ არა ერთმანეთს ლექცია და პრაქტიკული მუშაობა?					
5	გაკმაყოფილებთ თუ არა ლექციის მსვლელობისას მასწავლებლის მიერ განმარტებული რთული და საკვანძო მომენტები?					
6	არის თუ არა ორიენტირებული სალექციო მასალა სტუდენტთა მომავალ პროფესიულ საქმიანობაზე?					

№	კითხვები	1	2	3	4	5
		მიჭირს პასუხის გაცემა	არასოდეს	იშვიათად	ხშირად	ყოველთვის
7	ავლენენ თუ არა მასწავლებლები სასწავლო მოდულისადმი შემოქმედებით მიდგომას და ინტერესს?					
8	უწევენ თუ არა მასწავლებლები დამატებით კონსულტაციებს სტუდენტებს?					
9	აქცევენ თუ არა ყურადღებას მასწავლებლები სტუდენტების ჩართულობას ლექციის მსვლელობისას?					
10	აძლევენ თუ არა მასწავლებლები სალექციო მეცადინეობისას სტუდენტებს კითხვების დასმისა და დისკუსიაში ჩართვის შესაძლებლობას?					
11	აწვდიან თუ არა მასწავლებლები სტუდენტებს ინფორმაციას სასწავლო პროგრამისგან განსხვავებულ საკითხებზე?					
12	ავლენენ თუ არა ობიექტურობას მასწავლებლები სტუდენტის ცოდნის შეფასებისას?					
13	დროულად აცნობენ თუ არა მასწავლებლები სტუდენტებს ცოდნის შეფასების შედეგებს?					
14	განმარტავენ თუ არა მასწავლებლები სტუდენტების მიერ დაშვებულ შეცდომებს და					

	აძლევენ თუ არა სათანადო რეკომენდაციებს?					
15	არიან თუ არა მასწავლებლები სტუდენტების მიმართ კეთილგანწყობილნი თავაზიანები და ტაქტიანები?					
16	აძლევენ თუ არა მასწავლებლები რეკომენდაციას სტუდენტებს დამხმარე ლიტერატურის შესახებ და ეხმარებიან თუ არა მის მიძიებაში?					

17. რა თვისებების გამო გამოყოფდით თქვენს რჩეულ მასწავლებლს კარგ მასწავლებლად?

18. რა არ მოგწონთ თქვენს მასწავლებელში/მასწავლებლებში?

19. მოგწონთ თუ არა ის მოდულები, რომლებსაც ეუფლებით

20. დასრულებული მოდულებიდან, რომელი მოდული იყო თქვენთვის ზედმიწევნით საინტერესო (შეგიძლიათ ჩამოთვალოთ რამოდენიმე)

თარიღი

გმადლობთ ინფორმაციისათვის!

სსიპ – ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის
პროფესიული სტუდენტების
კითხვარი დაწესებულების შესახებ

ძვირფასო სტუდენტებო, ინფორმაცია, რომელსაც თქვენ მოგვაწვდით ძალზე მნიშვნელოვანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურობის შესაფასებლად. ჩვენ გვსურს, გავიგოთ თქვენი მოსაზრება კოლეჯის შესახებ.

ინფორმაცია კონფიდენციალურია, ამდენად თქვენი ვინაობა არსად გამჟღავნდება. გთხოვთ, პასუხი გასცეთ ყველა დასმულ კითხვას.

მიუთითეთ მოდულური (საგნობრივი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

1. გაკმაყოფილებთ თუ არა არსებული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა (სასწავლო მოდულულების ჩამონათვალი და მათი დროში განაწილება)?

ა) სასწავლო გეგმა მაკმაყოფილებს, ყველა მოდული საჭიროა, რასაც ვსწავლობთ;

დიახ

არა

ნაწილობრივ

ბ) ფიქრობთ, თუა არა რომ მეტი დრო სჭირდება ზოგიერთ მოდულს?

დიახ

არა

თუ დიახ, გთხოვთ მიუთითეთ: -----

2. შეაფასეთ მასწავლებლები სწავლების ხარისხის მიხედვით:

ა) მომწონს (შეგიძლიათ, მიუთითოთ მასწავლებლების გვარები); -----

ბ) არ მომწონს (შეგიძლიათ, მიუთითოთ მასწავლებლების გვარები); -----

3. როგორ შეაფასებდით სასაწავლო გარემოს ზოგად მდგომარეობას?

	საგნებით მაკმაყოფილებს	ნაწილობრივ მაკმაყოფილებს	არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია
აუდიტორიები			
მუსიკალური ინსტრუმენტები			
კომპიუტერული ტექნიკა			
საკონცერტო/სარეპეტიციო დარბაზები			
ბიბლიოთეკა			
ფონოთეკა			
ვებ – გვერდი და სოციალური ქსელი			
უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემები			
პირველადი სამედიცინო დახმარების მექანიზმები			
სსმ და შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემო			

თარიღი:

გმადლობთ ყურადღებისათვის!

სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

სამოქმედო გეგმის შეფასების კითხვარი

ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული გეგმების შესახებ

1. იცნობთ თუ არა თქვენი სასწავლებლის მისიას?

ა) დიახ ბ) ნაწილობრივ გ) არა

2. თქვენი აზრით თქვენი სასწავლებლის მისია განსაზღვრავს თუ არა მის როლსა და ადგილს პროფესიული განათლების სივრცეში და საზოგადოებაში?

ა) დიახ ბ) ნაწილობრივ გ) არა

3. იცნობთ თუ არა თქვენს სასწავლებლის განვითარების 7 წლიან სტრატეგიულ და ერთწლიან სამოქმედო გეგმებს?

ა) დიახ ბ) ნაწილობრივ გ) არა

4. მონაწილეობთ თუ არა თქვენი სასწავლებლის განვითარების 7 წლიან სტრატეგიულ და ერთწლიან სამოქმედო გეგმების შედგენაში?

ა) დიახ ბ) ნაწილობრივ გ) არა

5. იცნობთ თუ არა სამოქმედო გეგმის შესრულების წლიურს ანგარიშს?

ა) დიახ ბ) არა გ) არ ვიცი / უარი

6. თქვენი აზრით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები შესაბამისობაშია თუ არა დაწესებულების მისიასა და ხედვაში გაცხადებულ მიზნებთან?

ა) სრულიად ბ) ნაწილობრივ გ) საერთოდ გაუგებარია დ) არ ვიცი

გმადლობთ ყურადღებისათვის!

სსიპ – ქ. გორის სულხან ცინცაძი სახელობის სამუსიკო კოლეჯი
პროფესიული განათლების მასწავლებლის
კითხვარი

1. ეთანხმებით თუ არა კოლეჯის მისიას?

- ა) არ ვიცნობ კოლეჯის მისიას;
- ბ) დიახ;
- გ) არა (დააკონკრეტეთ) -----

2. თქვენს აზრსა და იდეებს აფასებენ და ითვალისწინებენ სამსახურში?

- ა) დიახ
- ბ) არა
- გ) ნაწილობრივ

3. თქვენ მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობა მოცემულ ვადებში არის:

- ა) ზომიერ მეტი
- ბ) ზომიერი
- გ) ნაკლები

4. სამუშაო, რომელსაც ასრულებთ, გაძლევთ თუ არა თქვენი შესაძლებლობების გამოვლენისა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობას?

- ა) დიახ
- ბ) არა
- გ) ნაწილობრივ

5. გაკმაყოფილებთ თუ არა მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ორგანიზების/ადმინისტრირების ხარისხი?

ა) მაკმაყოფილებს;

ბ) არ მაკმაყოფილებს;

უარყოფით პასუხის შემთხვევაში გთხოვთ დააკონკრეტოთ -----

5. კოლეჯში პერსონალსა და კოლეგებთან ახერხებთ თუ არა კოორდინირებულ მუშაობას?

- ა) დიახ
- ბ) არა

თუ შემოსაზეთ „ბ“, დააკონკრეტეთ მიზეზი -----

6. თქვენ მიერ შესრულებულ სამუშაოს გინაზღაურებენ

- ა) შესაბამისად ბ) მეტად გ) ნაკლებად

7. გაქვთ თუ არა სურვილი, სრული პროფესიული წინსვლისათვის მონაწილეობა მიიღოთ ტრენინგებში და აიმაღლოთ კვალიფიკაცია?

- ა) დიახ ბ) არა

8. თქვენი აზრით, რომელი ფაქტორების მიხედვით ხდება თანამშრომელთა წახალისება?

- ა) დამატებითი სამუშაო
ბ) ინიციატივა
გ) აქტიურობა

დ) სხვა -----

9. გააკმაყოფილებთ თუ არა კოლეჯში არსებული გარემო

ურთიერთობები /დიახ, არა/ -----

კოორდინაცია /დიახ, არა/-----

პროფესიონალიზმი /დიახ, არა/ -----

დაფასება /დიახ, არა/ -----

ტრადიციების ჩამოყალიბება /დიახ, არა/ -----

სხვა -----

10. რას შეცვლიდით სამუშაო პროცესის სრულყოფისა და თქვენი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენისათვის?

გმადლობთ თანამშრომლობისათვის!

თარიღი:

სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი
მოდულური პროგრამის განმახორციელებელი პირის და
მოდულის შეფასება

1. გაგცნოთ თუ არა სრულად მოდულის განმახორციელებლმა პირმა მოდულური პროგრამის სინაარსი?

ა) დიახ ბ) ნაწილობრივ გ) არა

2. ფიქრობთ, რომ მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა კარგად არის დაგეგმილი?

ა) დიახ ბ) ნაწილობრივ გ) არა

3. ადეკვატურია თუ არა მოდულის საათების ჯამური რაოდენობა დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად?

ა) დიახ ბ) ნაწილობრივ გ) არა

4. საინტერესო და გასაგებია თუ არა ახალი ახსნილი მასალა?

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

5. შეესაბამება თუ არა მოდულის თემატიკა მისაღწევ სწავლის შედეგებს?

ა) დიახ ბ) ნაწილობრივ გ) არა

6. ლექციის მსვლელობისას გაქვთ თუ არა საკუთრი აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება?

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

7. მოდულით გათვალისწინებული შედეგების დადასტურება შესრულების კრიტერიუმების თანახმად ხორციელდება?

ა) დიახ ბ) ნაწილობრივ გ) არა

8. ობიექტური და სამართლიანია მოდულის განმახორციელებელი პირი შეფასებისას?

ა) დიახ ბ) ნაწილობრივ გ) არა

9. გექმნით, თუ არა მოდულის განმახორციელებელი პირი მოდულის სწავლების პერიოდში მეგობრულ და კომფორტულ გარემოს?

ა) დიახ ბ) ნაწილობრივ გ) არა

10. არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენი მოდული საგანმანათლებლო რესურსებით (სახელმძღვანელოები, ინტერნეტრესურსები)?

ა) დიახ ბ) ნაწილობრივ გ) არა

თარიღი:

გმადლობთ ყურადღებისათვის!

სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

პროფესიული სტუდენტის თვითშეფასება

მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება -----

შეკითხვა	დიახ	ნაწილობრივ	არა
1. მარტივად ახდენთ თუ არა ადაპტაციას ახალ გარემოსთან?			
2. ადვილად ეუფლებით თუ არა მოდულებით განსაზღვრული მასალას			
3. ხშირად ხართ აქტიური ლექციის მსვლელობისას?			
4. სისტემატურად ასრულებთ მასწავლებლის მიერ მოცემულ დამოუკიდებელ სამუშაოებს?			
5. ადვილად დასაძლევია თქვენთვის შესაფასებისას მოცემული დავალებები?			
6. ყოველთვის მაღალი ქულებით ადასტურებთ სწავლის შედეგებს?			
7. გაქვთ თუ არა ბევრი გაცდენები?			
8. კოლეჯში სწავლის პერიოდში იღებთ თუ არა მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებში /კონკურსებში/ფესტივალებში?			
9. ფიქრობთ, რომ მოდულის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები გამოგადგებათ მომავალ პროფესიულ საქმიანობაში?			
10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდგომ თვლით თუ არა თავს კარგად მომზადებულად თქვენი პროფესიით მუშაობისათვის?			

თარიღი:

გმადლობთ ყურადღებისთვის!

დანართი № 7

სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

მოდულური პროგრამის განმახორციელებელი პირის

კითხვარი

1. მისაღებია თუ არა მოდულების სტრუქტურა?

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ დ) არ ვიცი / უარი

„არა“ ან „ნაწილობრივ“ პასუხის შემთვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები

2. გასაგებია თუ არა მოდულის შინაარსი?

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

3. მოიცავს თუ არა მოდული პროფესიისთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხს/თემას?

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ დ) არ ვიცი / უარი

„არა“ ან „ნაწილობრივ“ პასუხის შემთვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები

4. ფიქრობთ, რომ არსებობს საკითხები/თემები, რომელთა დაუფლებაც სტუდენტებს გაუჭირდათ/გაუჭირდებათ?

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ დ) არ ვიცი / უარი

„არა“ ან „ნაწილობრივ“ პასუხის შემთვევაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი რეკომენდაციები/შენიშვნები

5. არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენი მოდულის სწავლებისათვის განკუთვნილი აუდიტორია საჭირო მასალებითა და ინვენტარით?

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

6. მოდულური სწავლების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ხომ არ საჭიროებთ რაიმე საკითხებზე დამატებით ტრენინგს/ კონსულტირებას?

ა) დიახ ბ) ნაწილობრივ გ) არა

7. მონაწილეობდით თუ არა სასწავლო გეგმის/კალენდარული გეგმის შემუშავების პროცესში?

ა) დიახ ბ) ნაწილობრივ გ) არა

8. გარდა პედაგოგიური საქმიანობისა ჩართული ბრძანდებით თუ არა კოლეჯში მიმდინარე სხვადასხვა ღონისძიებებში

ა) ხშირად ბ) იშვიათად გ) არასოდეს

თარიღი:

გმადლობთ ყურადღებისათვის!

